

ინფორმაცია

კერძო კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი თბომავლები და გამოდიან შპს "საქართველოს რკინიგზის" სადგურებში, ან უნდათ მოიპოვონ რკინიგზის სადგურის ლიანდაგებში გამოსვლის უფლება, უნდა აკმაყოფილებდნენ თანდართულ შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ დადგენილებებს და დებულებას.

- 1) ლოკომოტივის (თბომავლის) მემანქანეს უნდა გააჩნდეს მართვის მოწმობა გაცემული რკინიგზის ან ყოფილი მძიმე მრეწველობის სამინისტროს მიერ.
- 2) ლოკომოტივს (თბომავალს) შპს "საქართველოს რკინიგზა"-ზე მომქმედი ნორმატივების შესაბამისად უნდა ჩაუტარდეს რემონტი მშ-1 მოცულობის ფარგლებში, რომელიც კერძო კომპანიების ყველა თბომავალს ვადაგადაცილებული აქვს. ზემოთ აღნიშნული რემონტის ჩატარება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს სამტრედიის, ხაშურისა და თბილისის სალოკომოტივო სამმართველოებში.
- 3) კერძომ კომპანიებმა, რომელთაც გააჩნიათ თბომავლები და უწევთ მათი გადაგზავნა სარემონტოდ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს გადასარბენებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წყვილთვალეების ქიმების ზომებს. შპს "საქართველოს რკინიგზა"-ზე მომქმედი ნორმატივებით წყვილთვალეების ქიმების სისქე უნდა იყოს არანაკლები 25 მმ-ისა.